# მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება N18.

ქ. თბილისი 09.09.2017

(CPV-22100000).

ერთის მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოს საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ ფირანიშვილი და მეორე მხრივ შპს სი ეს ელ ჯორჯია (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექორის თენგიზ ჭუმბაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

## მუხლი1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ჩემი საქართველო,ის რაც ერთხელ მაინც უნდა ნახო(12ტომი). ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

## მუხლი2. ხლშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 300 /სამას/ ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადს.

## მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელეკრულებით გათალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პისი.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარისშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმდებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

## მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1 მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი: ცაგერი

## მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად , კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილზე შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

გ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა, კერძოდ:

## მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოს საჯარო სკოლა-]დირექტორი: ტარიელ ფირანიშვილი

6.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

## მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს, რომელიც არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდნობით. ხელშეკულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

CONFIDENTIAL

7.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მომწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

## მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებლი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

CONFIDENTIAL

## მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებლი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეების უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშ შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 09.09.2017დან 09.10.2017 ჩათვლით.

## მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თვითოეული ინახება მხარეებთან.

## მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

OFFICIAL

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის | შპს სი ეს ელ ჯორჯი |
| სოფელ სნოს საჯარო სკოლა | ს/კ:406197066 |
| დირექტორი; ტარიელ ფირანიშვილი | მისამართი:თბილისი,გოგოლაურის 13 |
| | ტელ: 2 880 380 |
| | საბანკო რეკვიზიტები : |
| | ს/ს თიბისი ბანკი |
| | ბანკის კოდი:TBCBGE22 |
| | ა/ა:GE44TB7313236020100006 |
| | აღმასრულებელი დირექტორი: |
| | თ. ჭუმბაძვიდი |

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 09.09.2017

ერთი მხრივ სსიპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოს საჯარო სკოლა. (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის: ტარიელ ფირანიშვილი და მეორე მხრივ შპს სი ეს ელ ჯორჯია (შემდგომში „მიმწოდებლი“), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის თენგიზ ჭუმბაშვილის სახით, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს 2017 წლის 9 სექტემბერის მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროდუქციაზე: ჩემი საქართველო,ის რაც ერთხელ მაინც უნდა ნახო(4ტომი), ჩემი საქართველო,ის რაც ერთხელ მაინც უნდა ნახო(12ტომი) რომლის ღირებულება შეადგენს: 300 / სამას/ ლარს

შემსყიდველი:

სსიპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის

სოფელ სნოს საჯარო სკოლა

დირექტორი: ტარიელ ფირანიშვილი

მიმწოდებელი

შპს სი ეს ელ ჯორჯია

დირექტორი: /თ. ჭუმბაშვილი/

SAMPLE